ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 3

ქ. ახალციხე 3 აპრილი 2013წ.

შ.პ.ს. „მაგთიკომი“ წარმოდგენილი მისი ახალციხი ოფისის მენეჯერის თემურ კიკნაველიძის სახით, შემდგომში – *გამყიდველი* ერთის მხრივ და **მაჟორიტარი დეპუტატის ვაჟა ჩიტაშვილის ბიურო** წარმოდგენილი მისი **დეპუტატი ჩიტაშვილი ვაჟა** სახით, შემდგომში – *მყიდველი*, მეორეს მხრივ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის სახსრებით 150 (ასორმოცდაათი) ლარის მობილური სატელეფონო მომსახურების შესყიდვა

1.2 მომსახურების შესყიდვა შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, *გამყიდველის* ანგარიშზე ჩარიცხული თანხების პროპორციულად.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 *მყიდველი* ვალდებულია:

2.1.a გადაუხადოს *გამყიდველს* მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-3 მუხლის შესაბამისად;

2.2 *გამყიდველი* ვალდებულია:

2.2.ა ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დადასტურების შემდეგ, გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება

– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

3. ფასი და ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება წარმოებს ნაღდი ან უნაღდო ანგარიშწორების ფორმით;

3.2 *მყიდველს* უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში 1.1. პუნქტში აღნიშნული თანხის ანგარიშსწორება *გამყიდველთან* მოახდინოს ნაწილობრივ.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელომოწერის დღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 **დეკემბრამდე**

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა სტიქიური უბედურება, მიწისძვრა, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად შეუძლებელს ხდიან ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

6.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ერთმანეთს ასეთი გარემოებების არსებობის შესახებ.

7. სადავო საკითხების გადაწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად ადასტურებს მხარეთა კონსენსუსს და არანაირი ზეპირი ცვლილება ან დამატება არ განიხილება, როგორც ამ ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი;

8.2 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები, რომელიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის მიერ.

8.3 ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად, ერთი პირი გადაეცემა გამყიდველს და ერთი პირი მყიდველს. ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

გამყიდველი:	მყიდველი:
<u>იურიდიული მისამართი</u>	**<u>იურიდიული მისამართი</u>**
ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ. №5	ახალციხე .ახალციხელის ქ.2
საბანკო რეკვიზიტები:	**საბანკო რეკვიზიტები:**
ს.ს. "ვითიბი ბანკი"	ლიბერთი ბანკი
ცენტრალური ფილიალი	ახალციხის ფილიალი
ა/ა GE73VT6600000000423607;	**GE69LB0118116564204000**
კოდი: UGEBGE22	კოდი: LBRTGE-22
საიდენტ. კოდი: 204876606	საიდენტ. კოდი: 224093950
	საკონტაქტო ტელ: 577200172
ახალციხის ოფისის მენეჯერი	დეპუტატი
თანამდებობა	თანამდებობა
თემურ კიკნაველიძე	ჩიტაშვილი ვაჟა
(———————)	( )